სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

58985143044317

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171087590

რეგისტრაციის თარიღი

15.09.2017 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
ტელეფონი: 0322931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დღგ 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა _____

ხელმოწერა _____

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე



საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თხუთმეტ სექტემბერს მე, თეა მაღალდაძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #6, მომმართა **ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქე ვასილი პოდოროლსკიმ,** რომელმაც წარმომიდგინა მისთვის ცნობილი რუსული ენის მცოდნე თანჯიმანი **სოფიო კვიციანი,** რომელმაც განაცხადა, რომ **ვასილი პოდოროლსკის** სურს ორენოვანი (ქართულ/რუსული) მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქემ ვასილი პოდოროლსკიმ** (დაბ. 08.08.1972 წ., ისრაელის მოქალაქის პასპორტი 29425769; პირადი ნომერი 3-3248263-7, გაც. 20.06.2016 წ., მოქმედების ვადა 19.06.2018, დრ. მცხოვრები: თბილისი, ს.მგალობლიშვილის ქ. N 7 ბ. 16) **და სოფიო კვიციანმა** (დაბ. 02.10.1975 წ., პ/ნ 62001002174, მცხოვრები: ქ. თბილისი, მუხიანი IVა მ/რ, კორპ. 13, ბ. 33) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს რუსულ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე. **სოფიო კვიციანმა** წარმომიდგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი AA # 0020543, გაცემული ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის სოხუმის ფილიალის მიერ.

სანოტარო მოქმედების მონაწილე და მთარგმნელი ადასტურებენ მთარგმნელობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობას.

მე დავადგინე **ვასილი პოდოროლსკის** ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე, მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარში და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. თარჯიმანმა უთარგმნა მას ჩემს მიერ წაკითხული მიდნობილობის შინაარში და მასზე ხელმოწერის სამართლებრიცი შედეგები. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მან და მის მიერ წარმოდგენილმა თარჯიმანმა მოაწერეს ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ვასილი პოდოროლსკი** რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც "მიმნდობი" ამ მინდობილობით **ქეთევან ჯურხაძეს** (დაბ. 11.09.1975 წ. პ/ნ 01003017765) როლელიც შემდეგში წოდებულია როგორც "მინდობილი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: **ქეთევან ჯურხაძე** უფლებამოსილია მართოს, კერძოდ გააქირაოს ან/და გასცეს იჯარით ჩემს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, მათ შორის მიწის ნაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე, თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, დადოს ან/და გააუქმოს ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულება, შეიტანოს მასში ცვლილებები, გააგრძელოს მოქმედების ვადა, დაარეგისტრიროს დადებული ხელშეკრულებები, მიიღოს იჯარის/ქირავნობის თანხა; აგრეთვე ვანიჭებ უფლებას თვალყური ადევნოს ჩემს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, გადაიხადოს ყოველგვარი კომუნალური გადასახადი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, სანოტარო ბიუროში, ქალაქის მერიაში, მერიის ზედამხადველობის სამსახურში, კერძო კომპანიებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში,ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი თელასში, დასუფთავების სამსახურში, "კავკასუს ონლაინში", "გაერთიანებულ ტელეკომში, სილქნეტში, "ყაზ ტრანს გაზ"-ში, "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ში, ახალ ქსელებში. ასევე ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების ნებისმიერ კომპანიაში. გადაიხადოს კანონმდებლობით გათავლისწინებული გადასახადები, სატელეფონო ქსელებში, ინტერნეტ პროვაიდერებთან და ა.შ., დადოს ხელშეკრულებები მომსახურების მიღებაზე. დამარეგისტრიროს აბონენტად, შეიტანოს ჩემი სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ხელშეკრულებებს, შეთანხმებას, წარადგინოს ისინი შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულელებში, დოკუმენტებში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2018 წლის თხუთმეტი სექტემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ და რუსულ ენაზე სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა **მიმნდობს.**